

1958

— თუმცა ცუკვის გარდა არ მისმარია სხვა რამ თი-
ლისმა, მნახველი ჩემი დეზდემონასებრ მოვაჯადოვე.

ნაბ. ე. ბერძენი შვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 4 თბილისი თეატრალი 1958

სენა



ნიანგის თახი

ამ დღეებში ნიანგის თახის გათამაშება ბაკურიანში ჩატარდა. ამჯერად მან ნამდვილი სპორტული ხახიათი მიიღო.


გათამაშებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების გუნდი „რაიონში ვერ ვანაწილებ“, რომლის შემადგენლობა ძირითადად დაკომპლექტებული იყო ვანაწილების დროს რაიონიდან თავდაპირველი ექიმებით.

გუნდი „ქართველი დრამატურგი“ აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობა — ალექსანდრო კახონა, ფელტჩერი, ნუშიჩი და სხვა — ნაყიდი არიან უცხოეთის კლუბებიდან.

თახის გათამაშებამ განსაკუთრებით მძაფრი და ხაინტერესო ხახიათი მაშინ მიიღო, როდესაც ფინალში, ყველახათვის მოულოდნელად, გავარდა ბაკურიანის „დინამოს“ ხათხილამურო ბაზის გუნდი „სპორტთან საქმე არ მაქვს“. გუნდის კაპიტანია ბაზის დირექტორი აშხ. ჟღენტი. ფინალური შეხვედრა იმდენად გამაბრუებელი ტემპით მიმდინარეობდა, რომ აშხ. ჟღენტს სხიფათო ტრავმა მოუვიდა. მან თამაშის დამთავრების შემდეგ ვეღარ იცნო საქართველოს ჩემპიონი ველოკროსში ნ. ტრეტიაკოვი და საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი ა. გუნია, რომელმაც ტრეტიაკოვი ბაზის მედპუნქტში დაზიანებული ფეხის გადასახვევად მიიყვანა.

ჟღენტი, რომელზეც, ალბათ, იმ ალკოჰოლშიც იმოქმედა, რომელიც მან თამაშის წინ გასამხნეველად მიიღო, იმდენად იყო გაოგნებული, რომ გუნია და ტრეტიაკოვი მედპუნქტიდან ამ შეძახილებით გამოყარა: „მე საკაცშირო დაქვემდებარების ვარს!“, „ბაკურიანი საქართველოს არ ეკუთვნის!“, „მე სპორტთან არაფერი არ მესაქმება!“ და სხვა.

როდესაც ჟღენტს შოკმა გაუარა და დამშვიდდა, ნიანგის თახის გათამაშების მსაჯთა კოლეგია იგი ღირსად სცნო თახი მისთვის გადაეცა, როგორც ინდივიდუალური ჯილდო.



ვაშენებთ, ბატონო, ვაშენებთ!

ვთქვათ, ნებისმიერ წელსა და დღეს სანაპირო ქუჩის იმ ადგილას, სადაც წარმოება-დაწესებულების მანქანებისათვის ბენზინის იძლევიან, მძლოლი აჩერებს ავტომანქანას:

— ჰა, საწვავი-მეთქი, ტალონი მომიტანია!

— ტალონი? — უკვირს ბენზინის გამყიდველს. — რა გვიან მოსულხარ, ძმაო, სალამოს ცხრიდან ტაქსებს ვემსახურებით!

აქაურ მუშაობას რომ ანგარიშინად შეხედოთ, უნებურად პერელმანის სახალისო არითმეტიკა გაგახსენდებათ, სადაც ზოგჯერ ორჯერ ორი ექვსია. აი, მაგალითიც:

ვთქვათ, ყოველდღიურად აქ ბენზინის მისაღებად, ანუ ბედის საცდელად, ანუ მოსაცდენად, როგორც გენებოთ ისე ჩათვალეთ — მოდის დაახლოებით ექვსასი მანქანა. ეს მანქანები ქმნიან რიგს, რომლის კუდი გველემპივით სამჯერ არ შემოხვევია ბაზას, მაგრამ ქალაქის საბჭოს კარებამდე მალე მიადწევს. თუ თითო მანქანის მომსახურებას ხუთ წუთს მოუნდებიან, 600 მანქანას ორმოცდაათ საათში გაისტუმრებენ. მოდი და უბერელმანოდ ჩატიე 24 საათი 50 საათში! ამას ისიც დაუშვებოთ, რომ წარმოება-დაწესებულების მანქანებისათვის ბაზა დილის რვა საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობს, თუმცა იგი ხშირად დილის 8 საათის მაგიერ 9 საათზე იხსნება, ე. ი. 9 ან 10 საათს მუშაობს და ამ ხანში რაღაც ჯადოსნობით მაინც ისტუმრებენ 240—250 მანქანას. მაშასადამე, დანარჩენი 350 მანქანა აქ ტყუილად მოვა, ტყუილად დაიცდის, ტყუილად გაცდება და უბენზინოდ წავა. მაგრამ სადამდე ივლის მანქანა უბენზინოდ? ალბათ ბენზინის მისაღებ მეორე ბაზამდე, ასეთი რამ რომ არსებობდეს

თბილისში წარმოება-დაწესებულების მანქანებისათვის.

— ვაშენებთ, ბატონო, ვაშენებთ! — შემოგვედავებიან, ალბათ, აქეთ-იქიდან ჩვენით განაწყენებული მშენებლები, — ნუ დაგვახრჩოთ!

ამ სიტყვებში ვეთანხმებით მშენებლებს, რადგან სიტყვით მართლაც ორი წელია შენდება მისანიკოვის ქუჩაზე ბენზინის მისაღები ბაზა წარმოების მანქანებისათვის, და მხოლოდ სულ პატარა რამაა გულს რომ სწყვეტს თბილისელ ავტომძღოლებს — სიტყვის საქმედ ქცევას არ დაადგა საშველი.



არ კი იფიქროს ვინმემ, ქალაქში ბენზინი არ იშოვებოდეს. მძლოლი, რომელსაც საწვავმა რიგით არ მოუწია, ბენზინის საყიდლად იმავე სანაპიროზე მდებარე კომერციულ სავაჭრო ბაზაში მივა, რომლის მშენებლობა გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე მისანიკოვის ქუჩაზე და უფრო ადრეც დაამთავრეს (საოცარია, მაგრამ ფაქტია).

ბენზინის ფულს მძლოლი გადაიხდის, ან მისი „ხაზინი“.

ამბობენ, ეს მდგომარეობა იქამდე გასტანს, ვიდრე არ მოვახერხებთ და დედამიწის მოძრაობას თავისი ღერძის გარშემო 50 საათამდე არ გავზრდით. ყოფილა მეორე საშუალება; სხვა რესპუბლიკათა მსგავსად, დედაქალაქის წარმოება-დაწესებულების მანქანებისათვის ბენზინის გასაცემი ბაზები გავამრავლოთ და ეს ბაზები დღეღამურ სამუშაო სისტემაზე გადავიყვანოთ. მაგრამ, ვინაიდან პირველი დაბრკოლება უფრო ადვილი გადასალახავი ყოფილა, ვიდრე მეორე, ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ კომერციული ბენზინით მოვაჭრე ბაზები მრავლდებიან სოკოებივით.

ასეთი ძალა პქონია კომერციას!

ბ. ჯამბაპური



წყევლის მოყვარულ დიასახლისთა დასახმარებლად

დიასახლისებო! წყევლაში თავისებური ეგზოტიკა და სილამაზეა, ხწორედ ამიტომ უხარიათ ქმრებს, როდესაც ცოლები სწყევლიან. კარგად, ძარღვიანად და გამიზნულად ნახროლი წყევლა ყოველთვის გამოიღებს სასურველ შედეგს. აბა რა მიზანი აქვს როცა წამოსროლილ წყევლას? მაგალითად „შენი კუბო ვნახე“ აქ არც ადგილის გარემოებაა, არც დროისა და არც მიზეზისა, არც შედარებაა და არც სახეებით აზროვნება. წყევლა ეს პოეტური კატეგორიაა და ამიტომ მასში, როგორც ფორმა, ისევე შინაარსიც გარკვეულ შარმონიაში უნდა იყოს.

განსაკუთრებით მოსახერხებელია ასეთ წყევლათა კატეგორიის ჩამოყალიბება ახალმშობულ ბინაში. მოავლებ თუ არა თვალს ექსპლოატაციაში ახალგადაცემულ ბინას, არ შეიძლება პირზე მისით არ მოგადგეს შემდეგი ხატოვანი წყევლა:

— შენ გაგებზარა გული ამ კედელივით, შენ გაგისკდა შუბლი

ამ კარივით, შენ გაგისრა ყელი. ამ ონკანივით, შენ გაგაცივა ამ რადიატორივით, შენ დაგეფსო თვალები ამ ელექტრონივით, შენ გაგინდა ქეცი ამ შპალიერივით, შენ ამოგცივდა კბილები ამ პარკეტივით, შენ მოგგვა ენა ამ სახელურივით, შენ დამუნჯდი ამ რადიოსავით, შენ დაგეფშვნა ძვლები ამ გაჯივით, შენ მოიშალე ამ ელექტროზარივით, შენ დაიგრიხე ამ გასაღებივით და შენ დაურუვდი ჩვენი სახლმმართველივით.

ასეთი წყევლა იმდენად ახლო იქნება რეალობასთან და იმდენად თვალსაჩინო მაგალითებითა და ნივთიერი მტკიცებებით იქნება გამაგრებული, რომ, ვფიქრობთ, ის კაცი, რომლის მისამართთაც ეს წყევლა იქნება გაგზავნილი, უთუოდ გამოსწორდება.

კაცი, რომელზეც ასეთი წყევლა არ იმოქმედებს, უიმედოა და მასზე ხელი უნდა ჩავიქნოთ.

დიასახლისებო! გამოსცადეთ შემოხსენებული მეთოდი და გამოცდილება მეზობლებს გაუზიარეთ.

ნან. რ. მახარაძისა



— კაცო, რაში გადაგიყრია ფული!
— შენ რა გენაღვლება, მე გავწყდი წელში სარეცხს რეცხვით.

გულწრფელი აღიარება

უცხო ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა გაიძახა მოწაფე:
— დაიწყეთ!
— თარგმანი ვიცი, კითხვა არ ვიცი, მასწავლებელო.

ღირსეული სასჯელი

ერთ-ერთ ლექციაზე სხვა ჯგუფის სტუდენტმა შეალო კარი. განრისხდა ლექტორი, დამნაშავე ჯგუფში შეიყვანა და ჰკითხა სტუდენტებს:
— რის ღირსია ეს თავხედი?
— დავასწროთ თქვენს ლექციას და მეორედ ალარ გაბედავსო, — იყო პასუხი.

ზამთრის სუსხი

პლენხანოვის სახელობის კლუბის ბიბლიოთეკაში ლიტურის მეცადინეობა მიმდინარეობდა. წრის ერთი ახალი წევრი ზამთარზე ლექსს კითხულობდა.
— ხშირად იარეთ ბიბლიოთეკაში, ზამთრის სურათსაც კარგად შეიგრძნობთ და ლექსიც რეალური გამოგივათ. — ურჩიეს პალტოებში შეფუთვნილმა ძველმა წევრებმა.

გიორგი კაზაროვი

„ფულიც ხოც ხელის ჭუჭყია?“

— აბანოს დირექტორმა მექისე დაიბარა და ჰკითხა:
„გამედ! შენზე მითხრეს ტყავს აძრობს კლიენტებსო, მართალია?“
„ტყუილი გითხრეს, ბატონო, მე ტყავს არ ვაძრობ, ჭუჭყს ვაძრობ!“
„განა ფულს არ იღებ?“
— ეა, ფულიც ხელის ჭუჭყი არ არი?“

ცოლის წერილი და ძმის რეცხვია

ერთმა, სიკაცრიით ცნობილმა კრიტიკოსმა წერილი მიიღო აგარაკზე მყოფი მეუღლისაგან. წერილის დასაწყისში ცოლი ვრცლად ხატავდა ბუნების მომხიბლობას; წერილის შუა ნაწილში იხსენიებდა, რომ ბავშვი კარგად ერთობოდა თავის ტოლებში და თვითონაც ხელს არ აკლებდა; დასასრულს კი ორი სიტყვით იტყობინებოდა: „გენაცვალე, ფული შემომაკლდა და საჩქაროდ გამომიგზავნეო“.

ძმარი წერილს პროფესიული თვალსაზრისით მიუღდა და შემდეგი პასუხი მისწერა:

„სასიამოვნოდ იკითხება თქვენი წერილის დასაწყისი, უსიამოვნოდ ეღერს შუა ნაწილი, ხოლო დასასრული კი სრულიად მიუღებელიაო“

აკაკი მუნსურელი



— კი მაგრამ, ცოლი არაფერს გეუბნება ყოველ-
დღე უგრძობლად მთვრალი რომ მიდიხარ სახლში?
— აბა რა ვიცი, ალბათ მეუბნება.

ქაკაგაბი

საწყობის გამგემ «რევიზორი» ნახა, სახლმმართველ-
მა კი—«ჩვენი ეზო».
ალკოჰოლიკი ჩიოდა, გიყი ქორწილში შეაგდეს, მე
კი—საგიჟეთშიო.
თბილისის «დინამოს» წყალბურთელებს შეპირდნენ: თუ
საპრიზო ადგილს დაიკავებთ, აუზში წყალს ჩაგისხამთო...
მაკლერებმა ბაღში გათობა მოითხოვეს, მძღოლებმა
კი—ავტონისპექციაში სასაუბრე გაგვისხენირო.

შ. სინარულიძე

პოეტმა ერთ დიდებულს ხოტბა შეასხა, მაგრამ წყალობა ვერ
მიიღო. შემდეგ ეპიგრამა მიუძღვნა, მაგრამ დიდებულმა არაფერი
უპასუხა.

მეორე დღეს პოეტი დიდებულის კართან მივიდა და დაჯდა.
— ეი, პოეტო, ხოტბა შემასხი—არაფერი მოგეცი, ეპიგრამა
მომიძღვენი—არაფერი გითხარი, ახლა რისთვის მოსულხარ?
— შინდა მოკვდე, ელეგია გითხრა.—უპასუხა პოეტმა.

ლომმა და კაცმა ნახეს სურათი, რომელზედაც გამოსახული
იყო ადამიანის მიერ შეპყრობილი და ჯაჭვით შეკრული ლომი.

— ხედავ ადამიანის ძლიერებას, ლომი დაიმორჩილა,—უთხრა
კაცმა ლომს.

— მხატვარი ადამიანია,—უპასუხა ლომმა,—მხატვარი რომ
ლომი იყოს, ასე არ იქნებოდა.

— არაბულად რა ჰქვია ხბოს?—ჰკითხა შევირდმა არაბული
ენის მასწავლებელს.

— არაბები იცდიან, ვიდრე ხბო არ გაიზრდება და მერე ხარს
ან ძროხას ეძახიან.

ჰინდუსტანს რომ მიიღწია, თემურლენგმა მუტრიბნი იხმო.
წინაპართაგან გამიგონია, რომ ამ ვილაიეთში საუტხოო მუტრი-
ბები არიანო. მოვიდა ბრმა მუტრიბი და დაიწყო თარზე დაკვრა.
თემურლენგი ძალიან ნასიამოვნები დარჩა დაკვრით და სახელი
ჰკითხა.

— დოვლათი მქვია.—უპასუხა მუტრიბმა.
— განა დოვლათიც ბრმავდება?—ჰკითხა თემურმა.
— დოვლათი რომ ბრმა არ იყოს, კოკლის სახლში არ მოვი-
დოდაო,—უპასუხა ბრმა მუსიკოსმა.
თექურს პასუხი ძალიან მოეწონა და მუტრიბი უხვად დაასა-
ჩუქრა.

თარგმნა შ. ზონიამ

ახალი
მხატვართა
ფურცელი



ნან. შ. გრგოლაძისა



ნან. ა. ზანტაძისა



ნან. გ. ხუბუნაშვილისა

— გავფინე თეთრეული



— ჩამოვიღე შავეული.

მხატვარი—რას შვრებით ამდენ ხანს, თქვენს
გამო სურათი ვერ დავამთავრე!

— ნუ გეშინია, შვილო, მე მასწავლებლის
გახაჯონაო დიჯავრდებოდი.

ხანაშის ნიშნები

ქვეყნული
ბიზნისოთქვა

ქაპო ნიანგო

თუ ორჯონიკიძის რაიონში შემოვედით ქუჩაზე მოხვალა დაპირბო, შემდეგნაირად მოიქეცი: № 14 ავტობუსის ფანჯრიდან როგორც კი თვალი მოჰკრა მოხერხებულს, ჩახსვალე, რომ შემოვედით ქუჩას მიუხსლოვდი. მოხვდები თუ არა ქუჩაზე, ყურადღებას ნუ მიაქცევ სახლის ნომრებს. ამ ქუჩაზე ოთხ სახლს 25 ნომერი აწერია, ორს—29 ნომერი, № 23 სახლის პირდაპირ 29 ნომერია, ხოლო 24-ის პირდაპირ—28.

უმთავრესი მაინც ისაა, რომ შემოვედით ქუჩის შემოთ კიდეც ერთი შემოვედით ქუჩაა. ეს ორი ქუჩა არ უნდა აგერიოს ერთმანეთში! ჩვენ ნამდვილად არ აგვერევა, რადგან შემო შემოვედით ქუჩაზე ელექტროშუქი დღისითაც ანთია, ქვემო შემოვედით ქუჩაზე კი—არახდროს.

ახლა არ გაინტერესებს საერთო რა აქვს ამ ქუჩებს? ჯერ ერთი ის, რომ ორივე ამ ქუჩაზე დღედაღამ დაწინააღმდეგებენ უპატრონო ძაღლებს და ყუფენ, მეორეც ის, რომ ავტომძღოლებს ამ ქუჩებზე სიგნალის მიცემა არ ეკრძალებათ.

ქვემო შემოვედით ქუჩაზე სანუკარო ნიანგო

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ეკალიდის ჩაის მთელი ქვეყანა სვამს, ჩვენც მივირთმევთ და შრომის ჩაის ფაბრიკის დირექტორი კოტე ბილიხოძეც. მაგრამ ერთი რამ გვიშლის ხელს. კოტეს, თურმე, ძალზე დაშაქრული ჩაი უყვარს და ვეღარ გრძნობს იმ სიმწარეს, რასაც ჩაის მკრეფავები ეკალიდში განიცდიან, როცა ჩაი მიმღებ პუნქტში მიაქვთ. პუნქტი იმ შენობას ჰქვია, რომელსაც არა აქვს კარი, ფანჯარა, კერი, იატაკი და, რაც მთავარია, კიბე. უნდა ნახო, ნიანგო, ჩვენი ჩაის მკრეფავები ყირაბ რომ გადადიან პუნქტში ახოხებისას. ამას ჩვენი კოტეც შესცქერის... დაბლიდან, მაღლა ასვლას როგორ გაბედავს?

საფისპირკელი

მოვილა, ამხანაგო ნიანგო!

მოვილა, ამხანაგო ნიანგო, პირველი თოვლი მოვილა ქუთაისში და წყობილებიდან გამოვიდა კომუნალური მეურნეობის [თითქმის ყოველი ობიექტი: ჩაქრა ელენათურები, დადუმდა ტელეფონები, დაშინჯდა რადიორეპროდუქტორები, შეწყდა ავტობუს-ტროლეიბუსების მიმოსვლა.

პირველი თოვლი მოვილა, მოვილა ისე, რომ მის მოხვლას არავინ ელოდა. ჩვენი კომპანის გამგე ვ. აბულაძე ახალი კაცია, ზამთრის ხე-წიწნაში პირველად უხდება მუშაობა და აბა რა იცოდა, რომ შესაძლებელი იყო თოვლის მოხვლა. „ქელასის“ გამგე იასონ გაგუა კი შეჩვეულია იოლად გახვლას. ეგ კი არა, ელექტროენერჯის ეკონომისათვის შეიძლება პრემიაც კი მიიღოს. ასე არ იყო გახული წლის ზაფხულში? წყალსადენში წყალი შეწყვეტეს, მოსახლეობამ ქებს მივაშურეთ, თავი რის ვიავაგლახით ვავიტანეთ, წყალკანალტრებსკა კი დიდო ფულადი პრემია მიიღო. სატელეფონო და რადიოქსელი კი, ჩვენს შორის რომ დარჩეს, ჩემო ნიანგო, თოვლის მოხვლამდეც არ მუშაობდა გამართულად, მაგრამ ვ. გაგუაშიცა და ნ. ბორდინს ხახვი არ დააჭრან ყურებზე..

ტროლეიბუსების სამმართველომ და ავტოსატრანსპორტო კანტორამ რა უნდა ქნას, გაწმინდეთ ქუჩები და გამოფუშვებთ მანქანებსო. ქუჩებს არავინ წმენდს და ვართ ჩვენთვის. მამაპაპური წრიაპებით დავდივართ, მჭადს ვაცხობთ პურს მოკლებულნი, ცერცვისა და თევზის ძველ კონსერვებს ვასაღებთ (მანქანები არ მუშაობს და გამყიდველნი ზურგით ხომ არ მოიტანენ პურს, ძეხვეულს, ხორცსა და კვების ნება პროდუქტებს!).

მოვილა, ამხანაგო ნიანგო, პირველი თოვლი მოვილა ქუთაისში. ღმერთმა ქნას, რომ ეს უკანახენელი თოვლი იყოს.

„მუთათურნი“

საყვარლო ნიანგო

ამ პურ-მარლით განთქმულ საქართველოში მამათელებს (ლანჩუთის რაიონი) პურ-მარლი წესიერად ვერ მიგვიღია... ჩვენში მარლი იშვიათად იშვინება და ფურნე ღმინივით უმარლილო პურს გვაჭმევს.

უმარლილო საქმე სხვაც ბევრია მამათში. მაგალითად, ჩვენი სოფლის საზღვრებს იქით ბევრს წარმოადგენს არა აქვს, როგორია მოშლილი რადიო. ან ვინ დაიტრახაბებს, მამათელებს გარდა, ხალამოს 7 საათზე დაწყებულ კინოსხანსს დამის პირველ საათამდე ვუტყვირეთ?

ჩვენი სოფლის ხელმძღვანელობამ უცნაური აბანო მოგვიწყო. ამ აბანოს რამდენიმე განყოფილება აქვს, მაგრამ მითითებული არაა, რომელში ქალი შევიდეს და რომელი—კაცი. ვაივსება კაცებით ყველა განყოფილება და ქალები კვიან, შეასწრებენ ქალები და კაცები ყვირიან. ამ უხერხულ მდგომარეობიდან ხელმძღვანელობამ გამოხავალი მონახა—აბანოს წელიწადში ორ დღეს ამუშავებს.

დაეხმარე, ნიანგო, ჩვენს ხელმძღვანელობას კარგი აბანოს მოწყობაში.

მაგათელი

ქიკრასო ნიანგო


ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიას ერთ დროს კეთილმოწყობილი კლუბი ჰქონდა. იყო ამ კლუბში კინოდანადგარი, იმართებოდა კონცერტები და საღამოები. ახლა კლუბში წვიმა ჩამოდის, კედლები გაბზარულია, კარ-ფანჯრები—ჩამოგლეჯილი, სკამები და კლუბის მოწყობილობა კი საღვაც გაქრა. უპატრონო ეკლესიისაგან განსხვავებით, ჩვენს კლუბს პირუტყვები დაეპატრონენ.

ჩვენი სოფლის საბჭოს მესვეურებმა აზრი გამოთქვეს: ეს ცვლილება წელთა სიმრავლემ იცისო. ჩვენ არ გვეჯერა მათი; ასე რომ იყოს, წელთა სიმრავლე სოფსაბჭოს მესვეურების ამ დაობებულ აზრსაც დაატყობდა ცვლილებას. შენ რა აზრისა ხარ, ნიანგო?

ბ. ა-ნი



უტექსტო ხუმრობა



ნახ. ა. კანდელაკისა

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში. ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 4. ხელმოწ. დასაბ. 25/II-1958 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტ“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 195. უფ. 00866. ტირ. 40.000.



— დიდი გამოცდილება დააგროვა ჩვენმა დირექტორმა.
— როგორ?
— მესამე წელია ჩვენთან მუშაობს და უკვე შეეძვს კარადა გაავსო
რაციონალიზატორული წინადადებებით.